ი/მ "რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეფექტი,
დაპროექტება, ექსპერტიზა"

ქ. თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ, I კვ. მე-6 კორპ. ბ.14
ტ. 593 25-19-71 232–88–15 e-mail – r.makhviladze@mail.ru

№01-18/19

05 ივნისი 2019 წელი

შ.პ.ს. „აქსის გრუპის" თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭოხონელიძეს

თქვენთან 2019 წლის 05 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე 15 მაისს გადმოგეცით საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. №125 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის კორექტირებულ პროექტზე. საექსპერტო დასკვნა მომზადდა კორექტირებულ კონსტრუქციულ დოკუმენტაციაზე ჩემს მიერ (პროფესორი რევაზ მახვილაძე), ხოლო საინჟინრო–გეოლოგიურ დასკვნაზე პროფესორ გივი დანელიას მიერ 2017 წელს შედგენილი საექსპერტო დასკვნაა გადმოცემული, რომელსაც ცხადია ცვლილებები ვერ შეეხებოდა.

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის 2019 წლის 29 მაისის შუალედური გადაწყვეტილებაში №4522061 შენიშნულია: „საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება უნდა იყოს ერთმნიშვნელოვნად დადებითი, შენობის საძირკვლის ტიპი ნომერკლატურაში მითითებულია ფილა, ფუძეების საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასების მიხედვით კი შენობა ექვდნობა ხიმინჯებს.

ბატონი თეიმურაზ თქვენც და მერიის არქიტექტურის სამსახურის ექსპერტსაც ბოდიშს ვუხდი გაუგებრობისათვის. ორივე დასკვნას (იხილეთ 2019 წლის 15 მაისი საექსპერტო დასკვნა №01-14/19) ჰქონდა საერთო ტექსტობრივი წანამძღვარი, ხოლო ბატონ გივი დანელიას დასკვნა გადააგზავნეს კომპიუტერში ატვირთული 2017 წლის 18 მაისის (01-29/17) ტექსტით.

აღნიშნულ ობიექტზე რამდენჯერმე ჩატარდა კორექტირება და ყველა საექსპერტო დასკვნა ჩემი მომზადებულია. პირველი ექსპერტიზით საძირკვლების მოწყობა გათვალისწინებული იყო ფილაზე, მაგრამ შემდგომ მშენებლობის დაწყების წინ გადაწყვეტილება შეიცვალა ჩემი მონაწილეობით და მშენებლობა განხორციელდა ბურღნატენი ხიმინჯებით. განმეორებით გადმოგზავნილ კორექტირებულ დასკვნაში ახსნილია ცვლილებათა მიზეზი.

ჩემს 2019 წლის 15 მაისის დასკვნაშიც 11 მეტრი ჩაღრმავების დიამეტრით 800 მმ ხიმინჯებზეა საუბარი.

ორივე საექსპერტო დასკვნას დამოუკიდებლად ერთი და იგივე წანამძღვარებით ხელახლა გიგზავნით.

დირექტორი, ექსპერტი 1978 წლიდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი

რევაზ მახვილაძე

საექსპერტო შეფასება

ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევის შედეგები

შპს "საქქალაქმშენპროექტი"-ს მიერ ჩატარებული იქნა 2008 წლის იანვარში აღნიშნულ ობიექტზე საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლისა და დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების საკითხის გადაწყვეტის მიზნით. სამშენებლო მოედნის ფარგლებში გაიბურღა 6 ჭაბურღილი თითოეული სიღრმით 15.0-16.0 გრძ.მეტრი. ანგარიშში მოცემულია ჭაბურღილების გეოლოგიური ჭრილები.

როგორც გეოლოგიური ჭრილებიდან ჩანს, ტერიტორიის ამგები გრუნტები შედგება 7 ფენისაგან, რომელთაგან 5 ფენა გამოიყოფა როგორც საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, რაც გამართლებულია დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან და უბნის გეოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარე. აღებულია თიხოვანი გრუნტების დაურღვეველი სტრუქტურის 24 ნიმუში, ასევე დარღვეული სტრუქტურის მსხვილნატეხოვანი გრუნტის 2 ნიმუში ლაბორატორიული გამოცდისათვის. გრუნტების გამოცდა ჩატარებულია შპს "საქქალაქმშენპროექტი"-ს საინჟინრო კვლევების განყოფილების ლაბორატორიაში. დადგენილია გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები. მათი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილების სახით. უბანზე გავრცელებული გრუნტის წყლის რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების განსასაზღვრავად აღებულია წყლის ნიმუში და მოცემულია მათი ლაბორატორიული ანალიზის შედეგები.

წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ მიწის ზედაპირიდან 1.3-1.8 მეტრზე გავრცელებულია თანამედროვე ასაკის კულტურული ფენა (ფენა №1). ფენა წარმოდგენილია თიხური მასით, რომელიც შეიცავს მცირე რაოდენობით სამშენებლო ნარჩენებს. მის ქვემოთ გავრცელებულია 10.5-11.6 მეტრ სიღრმემდე მყარპლასტიკური კონსისტენციის თიხა (ფენა №2). თიხოვან გრუნტში ცალკე ფენად გამოყოფილია რბილპლასტიკური ზონა (ფენა№2'), რომლის გავრცელების ინტერვალია 3.5-8.5 მეტრი. (ფენა №3)- მყარპლასტიკური თიხა კენჭების და ხვინჭის ჩანართებით 30%-მდე, დაფიქსირებულია 10.2-11.6 მ სიღრმის ფარგლებში, სიმძლავრით 0.4-1.5 მეტრი. (ფენა №4)-კენჭნარი ქვიშნარის შემავსებლით 20-25 %,ვრცელდება 10.5-11.6 მეტრი სიღრმიდან, სიმძლავრით 1.2-1.8 მეტრი. (ფენა №5)- ძირითადი ქანი წარმოდგენილი ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობით. ძირითადი ქანი ეროზიული ზედაპირიდან 0.7-1.3 მეტრ სიღრმეზე ძლიერ გამოფიტულია. სიღრმეში გამოფიტვის ხარისხი კლებულობს (ფენა№6). ნაკლებად გამოფიტული ქანის ხილული სიმძლავრე 1.8-2.3 მეტრია, თუმცა საფონდო მასალების მონაცემებით მათი სიმძლავრე ასეული მეტრებით განისაზღვრება. თიხოვანი გრუნტის 12 ნიმუშზე ჩატარებულია ძვრაზე გამოცდები ბუნებრივი ტენიანობის პირობებში და 12 ნიმუშზე კომპრესიაზე. ფენის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრ.1 და ცხრ.2-ში. კენჭნარებზე ჩატარებულია 2 გრანულომეტრიული ანალიზი, რომლის თანახმად გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება სხვადასხვა ფრაქციის მსხვილნატეხოვან გრუნტს, ქვიშნარის შემავსებლით 22.5%. ძირითადი ქანების- ქვიშაქვების და არგილიტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები მიმდინარე კვლევებისას არ განსაზღვრულა. მაგრამ ანალოგიური ქანების მონაცემები აღებულია მახლობელ ობიექტზე ჩატარებული გეოლოგიური კვლევისას. ქვემოთ სგე-ს ფიზიკურ-მექანიკური

მახასიათებლები მოცემულია კრებსით ცხრილში-3. ყველა სგე-საფის მექანიკური მახასიათებლები დამუშავებულია სტატისტიკური მეთოდით ნორმების შესაბამისად.

ყველა ჭაბურღილში გრუნტის წყალი გამოვლენილია 3.5-4.0 მეტრ სილრმეზე მიწის ზედაპირიდან და დამყარებულია 2.6-3.5 მეტრის დონეზე. გრუნტის წყალი არ არის აგრესიული ბეტონის მიმართ და არ ხასიათდება სულფატური აგრესიულობით არმატურის წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს.

საბოლოოდ მოცემულია სათანადო დასკვნები და რეკომენდაციები. რეკომენდებულია შენობის საძირკვლის ფუძედ I ან II სგე (ფენა №2 და ფენა№3) – თიხა, რკინაბეტონის ფიქლოვანი საძირკველი სავსებით მისაღებია ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე.

ალნიშნული ნაშრომის მიმართ არ გვაქვს შენიშვნები.

დასკვნა

მიგვაჩნია, რომ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ჩატარებულია სათანადო დონეზე, კვალიფიციურად. ნაშრომს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი

საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების
მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულების
პროფესორი, შრომითი მოღვაწეობის სტაჟი 1961
წლიდან, საექსპერტო საქმიანობისა 1982 წლიდან ვაჟა დანელია

საქართველოს
ტექნიკური
უნივერსიტეტი

GEORGIAN
TECHNICAL
UNIVERSITY

Phone: (995 32) 365093
Fax: (995 32) 942033
www.gtu.edu.ge
info@gtu.edu.ge

0175, საქართველო, თბილისი, კოსტავას 77
77, Kostava str., Tbilisi, Georgia, 0175

„ 01 " ოქტომბერი 2006

საქართველოს ტექნიკური უნიეერსიტეტის
ასოცირებული პროფესორის გივი დანელიასათვის
საინჟინრო-გეოლოგიის, ფუძეებისა და საძირკვლების
საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის ჩატარებაზე
უფლების მინიჭების თაობაზე

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 აგვისტოს ბრძანების №1-1/823 "განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის პროექტების საექსპერტიზო ჩატარების დროებითი წესის შესახებ" ექსპერტიზის ჩამტარებელ პირებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი საინჟინრო განათლება, ასევე სპეციალობით ნამსახურეობა 10 წლის სტაჟი, აგრეთვე საპროექტო დოკუმენტაციაზე საექსპერტო სამუშაოების შესრულების 5 წლის გამოცდილება.

აღნიშნულ პირობებს სრულად აკმაყოფილებს სამშენებლო ფაკულტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების კათედრის პროფესორი გივი დანელია დანართ №1-ში ჩამოთვლილი 1 და 2 პუნქტების შესატყვისობით, სახელდობრ

- სამოქალაქო და საზოგადოებრივი შენობა ნაგებობები;
- სამრეწველო შენობა-ნაგებობები;

ბატონ გივი დანელიას როგორც სამეცნიერო-პედაგოგიური, ასევე პროექტირების დარგში 45 წლის სტაჟი გააჩნია, რაც კარგად ჩანს მისი ბიოგრაფიული მონაცემებიდან.

საქართველოს ტექნიკური უნიეერსიტეტის პროფესორი გივი დანელია სამშენებლო ფაკულტეტზე მუშაობს 1970 წლიდან დღემდე გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების კათედრაზე.

5

1984-87 წლებში მუშაობდა ალჟირის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორად. მანამდე იყო "თბილქალაქპროექტის" ინჟინერ-კონსტრუქტორი, შემდეგ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი. იქვე 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სამშენებლო კონსტრუქციებში. 1974 წლიდან აქვს დოქტორის სამეცნიერო წოდება გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების განხრით.

გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა ბატონი გივი დანელია აქტიურადაა ჩაბმული საინჟინრო-საპროექტო საქმიანობაში. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მას პირადად შესრულებული აქვს ათობით პროექტი როგორც სამრეწველო, ასევე სამოქალაქო და ჰიდროტექნიკური ობიექტების სახით, მონაწილეობს შენობა-ნაგებობების დაზიანებათა კვლევაში და მათი გამაგრების ღონისძიებების შემუშავებაში.

1988-90 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარ საექსპერტო საბჭოსთან, იყო ექსპერტად გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების განხრით. 2006 წლიდან არის განათლების სამინისტროს ნაციონალური სამეცნიერო ფონდის ექსპერტი.

ბატონი გივი დანელია ითვლება მცოდნე და ერუდირებულ სპეციალისტად სამშენებლო დარგში, მას ხშირად იწვევენ სამშენებლო-საპროექტო ფირმები როგორც საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად, ასევე სამშენებლო-ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად მშენებლობაზე.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევთ პროფესორ გივი დანელიას მისთვის ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლების მინიჭებაზე.

სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის
დეკანი, ტექნიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ზურაბ გედენიძე



დანელია გიევი

(CV)

ქვეყანა, ქალაქი		საქართველო, თბილისი
მისამართი		ვაჟა-ფშაველას პრ. 35, ბ. 45
ტელეფონის ნომრები	*ბინა*	2 39 47 37
	მობილური	593 91 58 35
	სამსახური	66-01
	E-mail	danelia.givi@mail.ru
დაბადების ადგილი, თარიღი და პირადი №		ქ. თბილისი, 1938 წ 30 სექტემბერი, №01024019604
ოჯახური მდგომარეობა		მეუღლე, შვილი და ორი შვილიშვილი

განათლება

1961 წელი – დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი (უმაღლესი)

1970 წელი – ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (სამეცნიერო ხარისხი)

1972 წელი – დოცენტი (სამეცნიერო წოდება)

2010 წელი – აკადემიური დოქტორი

მუშაობა

1971 წლიდან დღემდე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო დეპარტამენტის გრუნტების მექანიკისა და შუშე-საძირკვლების მიმართულების ასოცირებული პროფესორი

1984-87 წწ – ალჟირის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ალჟირის რესპუბლიკა

1964-71 წწ – ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი, მეცნიერ მუშაკი

1963-74 წწ – საპროექტო ინსტიტუტის „თბილქალაქპროექტი"-ს ინჟინერ-კონსტრუქტორი

1961-63 წწ – სამშენებლო ტრესტის „თბილქალაქმშენ"-ს სამუშაოთა მწარმოებელი

2009 წ-დან დღემდე – შპს „მშენ-ექსპერტი" მთავარი [illegible] სპეციალისტი



ДИПЛОМ
КАНДИДАТА НАУК

МТН № 050650

Москва 20 февраля 1970 г.

Решением
Совета Тбилисского НИИ сооружений гидротехники им. А.В. Винтера
от 19 декабря 1969 г. (протокол N 11)

Данелия Гиви Варламович

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ КАНДИДАТА ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Совета

Ученый Секретарь Совета

АТТЕСТАТ
ДОЦЕНТА

МДЦ № 087767

Москва 27 сентября 1974 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 12 июня 1974 г. (протокол № 33/5)

Данелия Гиви Варлиович

УТВЕРЖДЕН В УЧЕНОМ ЗВАНИИ ДОЦЕНТА
ПО КАФЕДРЕ
механика грунтов, основания и фундаменты

Председатель Высшей Аттестационной Комиссии [подпись]

Ученый Секретарь Высшей Аттестационной Комиссии [подпись]

9

ცნობა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ გიგი დანელიას საექსპერტო საქმიანობის თაობაზე 2006 წლიდან ბოლო 5 წლის პერიოდში ექსპერტიზა შესრულებულია საპროექტო დოკუმენტაციის სამშენებლო კონსტრუქციებში

№	ობიექტის დასახელება	წელი	შემსრულებელი
1	2	3	4
1.	ქ. ბათუმში, რუსთაველის გამზ. №18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციების გაანგარიშების შესახებ შენობის ერთი სართულით გაზრდის შემთხვევაში	2007	შპს „გენერალური ბიზნესი"
2.	ქ. თბილისში, ბაგები წყნეთის გზატკეცილის №37-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი	2008	"მშენეკონომფექტი"
3	ქ. ბათუმი ხიმშიაშვილის №20 9-12 სართულიანი საცხოვრებელი სახლი	2008	შპს „აჭარასპეცპროექტი"
4.	ქ. თბილისი რუსთაველის გამსირზე ეროვნული გალერეას რეკონსტრუქცია	2009	შპს „მმ პროექტი"
5.	ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში მშენებარე სოფისე შენობის სტატიკური და დინამიური გადაანგარიშების შესახებ მზიდი კარკასის ერთი სართულით გაზრდის შემთხვევაში	2010	შპს „არსი"
6.	ქ. თბილისი ანაგის ქ. №41 8-9 სართულიანი საცხოვრებელი სახლები	2010	იმ „გურამ ბიძინაშვილი"
7.	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. სუფსის ცემენტის წისქვილი	2010	შპს „ტუოვი"
8.	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის კუთვნილი შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე	2010	შპს „მშენ-ექსპერტი"
9.	ვაჩის ქ. №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ბოლო სართულზე მდებარე სამი ბინის გადახურვის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე	2011	შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი"
10.	ქ. ქობულეთში, მეგობრობის ქ. №2-ში აშენებადობა „შავი ზღვა XXI"-ის საცხოვრებელი კორპუსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე	2011	-



1	2	3	4
11.	ქ. მარნეულში შპს „დოგანი"-ს რკინიგზის მისახელებელი ხაზის მშენებლობის კონსტრუქციულ ნაწილზე	2011	შპს „დოგანი"
12.	ქ. თბილისში, მარუხის გმირების №37-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე	2011	საპროექტო ფირმა „გოდაკო"
13	ქ. თბილისში, გმირ კურსანტთა ქ. №1-ში პოლიციის აკადემიის ტერიტორიაზე 300 ადგილიანი სასადილოს პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე	2011	შპს „უნივერსალი"